ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №106

5 მარტი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(№11-0121064960; 11-0120632715; 11-012060438; 11-01210562467; საკრებულოს №15-032106449-03;15-032106353-03;15-03210619-03;15-032105652-03)

2. ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინ გრუპს“ (ს/ნ 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინ გრუპის“ (ს/ნ 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. 2016 წლის 19 აპრილს შპს ,,ალმა ტრანსპორტსა“ (ს/კ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი- N160405188) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

5. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

6. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.029.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

7. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.024.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

8. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.032.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

9. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის I შესახვევი, კორპუსი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.018.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

10. "ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე „

11. „ქალაქ თბილისში, კალანდაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.098) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

12. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.702 და N01.19.23.009.076.01.703) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

13. "ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

14. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.02.500 და N01.11.05.029.144.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

15. "ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში(საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძემ კომისიის წევრებს განუმარტა კვარტალური და წლიური ცვლილებების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ ქალაქის ისტორიული ნაწილის მთაწმინდის რეკრეაციულ ზონასთან უმოკლესი მარშრუტით დაკავშირების მიზნით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" განახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის, ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით, საბაგირო გზის მშენებლობისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვას, რისთვისაც „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის" პროგრამას წლიურ გეგმაში აკლდება 6 000 000 ლარი და იქმნება ახალი პროგრამა „საბაგირო ტრანსპორტის განვითარების" პროგრამა (პროგრმული კოდი 01 02 08) , რომლის ასიგნებაც განსაზღვრულია 6 000 000 ლარით.

შესათანხმებლად წარმოდგენილია ასევე, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები. კერძოდ: პროგრამის "დაავადებათა სკრინინგის" - პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 40 000 ლარით, პროგრამის „კომუნალური სუბსიდირება"- პირველი კვარტლიუს გეგმა იზრდება 130 000 ლარით და პროგრამის „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება"- პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 40 000 ლარით. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია ბენეფიციართა მომართვიანობის გაზრდის გამო.

გარდა ამისა შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონების: სამგორის, ისანის, ნაძალადევის და მთაწმინდის გამგეობების კვარტალური ცვლილებები.

რაიონის ტერიტორიაზე, გზების მიმდინარე და ფრაგმენტული სამუშაოების ვადაზე ადრე დამთავრებიდან გამომდინარე, სამგორის რაიონის გამგეობა ითხოვს „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში- პირველი

კვარტლის გეგმის გაზრდას 585185 ლარით. იზრდება პროგრამის „კეთილმოწყობითი სამუშაოები"- პირველი კვარტლის გეგმა 500 000 ლარით. გამგეობამ დაასრულა რაიონის ტერიტორიაზე სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა- რეაბილიტაციის სამუშაოების უმეტესი ნაწილი.

ნაძალადევის რაიონის „გზების მოვლა-შეკეტების" პროგრამის პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 302600 ლარით, ხოლო „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამის პირველი კავრტლის გეგმა იზრდება 32 000 ლარით.

მთაწმინდის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამის პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 30 000 ლარით, ხოლო „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამის პირველი კავრტლის გეგმა იზრდება 182 000 ლარით. წერილობით მოთხოვნაში გამგეობები აღნიშნავენ, რომ პირველ კვარტალში გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დასრულდა ვადაზე ადრე.

შესათანხმებლად წარმოდგენილია ასევე კუტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი ცვლილება „მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობის" პროგრამაში. არაფინანსური აქტივების მუხლს ემატება 17 700 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლის შესაბამისად შემცირებით. რამოდენიმე მუზეუმის ფონდების გამდიდრების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება მე-19 საუკუნის ეპოქისეული ნივთების შესყიდვაზე.

ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, ცვლილება ხდება „გზების მოვლა შეკეთების პროგრამაში". პირველ კვარტალს ემატება 300 000ლარი, რაც განპირობებულია ქალაქის მასშტაბით გზების ორმოული და პერიოდული შეკეთების შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის, ნაძალადევის, საბურთალოს რაიონის გამგეობები, ასევე ინფრასტრუქტურის და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურები, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და ა(ა)იპ მუზუმების გაერთიანება ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო **კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:**

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინ გრუპს" (ს/ნ 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინ გრუპის" (ს/ნ 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

საკითხთან დაკავშირებით ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ „ქ. თბილსში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბრის N31.29.1285 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ

თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმდა „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 50/026) არსებული 13 266 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.029) და ქ. თბილისში, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 50/024) არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები N1 (ნანგრევი), N2, N3 (მშენებარე), N4, N5 (ნანგრევი) (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.031 (ამჟამინდელი საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.042. დარღვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ: კომპანიას 2017 წლის 5 ივლისიდან 3 წლის ვადაში „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის (20 (ოცი) ოჯახი) საკუთრებაში უსასყიდლოდ უნდა გადაეცა არანაკლებ ჯამში 800 კვ.მ. (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) საცხოვრებელი ფართი, რომელიც იქნებოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული.

მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან ერთი წლის ვადაში - 2018 წლის 5 ივლისამდე, უნდა წარმოედგინა ამ პირების (20 (ოცი) ოჯახი) სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული პირები, როგორც „კრედიტორები" თანხმობას აცხადებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაცვლად, შპს „მაილინ გრუპისაგან", როგორც „მოვალისგან" მიიღონ ჯამში 800 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და მომავალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ ექნებათ არანაირი მოთხოვნის უფლება და რაიმე სახის პრეტენზია.

შპს „მაილინ გრუპის" (ს/ნ: 205207364) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული „კრედიტორების" თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომპანიას განსაზღვრულ ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უნდა გადაეცა უსასყიდლო საკუთრებაში აღნიშნული ფართი. უნდა მოეხდინა N01.17.01.050.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 7000 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე მცხოვრები პირების (ოჯახების) იდენტიფიცირება და მათი სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ საპრივატიზებო ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებით.
როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მყიდველმა 2018 წლის 10 ოქტომბერს განცხადებით, შესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე და ხელშეკრულების საფუძველზე პირგასამტეხლოს დაკისრებამდე, აცნობა გამყიდველს, რომ განახორციელა 20 პირის იდენტიფიცირება, ასევე, N01.17.01.050.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ამჟამინდელი საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.042) მცხოვრები პირების (4 (ოთხი) ოჯახის) იდენტიფიცირება, თუმცა სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ ნასყიდობის საგანზე არსებული უძრავი ქონებით და თანხმობას აცხადებენ, შპს „მაილინ გრუპისაგან" საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, ხოლო უარს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის განცხადებაზე, მყიდველმა ვერ შეძლო, ვინაიდან იდენტიფიცირებული პირები უარს აცხადებენ ხელმოწერაზე. ასევე აღნიშნა, რომ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლებდა საპრივატიზებო ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას და ითხოვა საპრივატიზებო ვალდებულებების, შესრულებისათვის გათვალისწინებული ვადის 8 (რვა) თვით გახანგრძლივება, 2021 წლის 5 მარტამდე ვადით.

ასევე აღნიშნა, რომ კომპანია წააწყდა მნიშვნელოვან სირთულეებს სამშენებლო პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში და მშენებლობის ნებართვის აღება მოხერხდა მხოლოდ 2019 წლის სექტემბრის ბოლოს. აღნიშნულის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, კომპანიამ დაიწყო სამშენებლო

პროცესი , თუმცა სამშენებლო სამუშაოებს ხელი შეუშალა პანდემიად აღიარებული, Covid-19-ის გავრცელების შედეგად შექმნილმა გარემოებებმა.

ირაკლი თავართქილაძის თქმით კომპანია ითხოვს :

1) თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის #14.58.676 დადგენილებით განსაზღვრული 20 ბენეფიციარების იდენტიფიცირებისა და მათთვის ქონების გადაცემის ვალდებულებ(ებ)ი გადავადდეს 05.04.2021 წლამდე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშული პირები უარს განაცხადებენ ფართის მიღებაზე და კომპანიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე კომპანიას მიეცეს შესაძლებლობა რომ არაუგვიანეს 05.06.2021 წლამდე აღნიშნული ფართი გადასცეს საკუთრებაში პირდაპირ თბილისის მუნიციპალიტეტს.
2) N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე არამართლზომიერად/თვითნებურად მცხოვრები პირებისთვის ქონების გადაცემის ვალდებულება გადავადდეს 05.07.2021 წლამდე, ხოლო იმ შემთვევაში თუ აღნიშნულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება იქნება 5 ერთეულზე ნაკლები (მიუხედავად იმისა, შესაბამის პირ(ებ)ს გადაეცა ქონება თუ ფულადი კომპენსაცია) , სხვაობა გადასცეს საკუთრებაში თბილისის მუნიციპალიტეტს არაუგვიანეს 05.08.2021 წლისა.
3) თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის #14.58.676 დადგენილებით განსაზღვრული 20 ბენეფიციარისა და N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე მაცხოვრებელი პირებისათვის ფართის გადაცემის სანაცვლოდ თუკი ისინი დათანხმდებიან, ფულადი კომპენსაციის მიღებაზე (რაც გაფორმდება შესაბამისი ფორმით) კომპანიას აღნიშნული ჩაეთვალოს საპრივატიზებო მოვალეობების შესრულებაში;
4) N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებარე შენობა #1-ში არსებულ ბინებს, გარდა წერილში მითითებული ბინებისა (22 ერთეული), მოეხსნას თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება და ვალდებულება;
5) შპს „მაილინ გრუპი" (ს/კ 205207364) გათავისუფლდეს ხელშეკრულების 4.3.4, 4.3.5 და 4.3.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 6.4 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, შეთანხმებით განსაზღვრული პირობებით, შესრულების პირობით,

უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მის მიერ, დღეის მდგომარეობით დასრულებულია მიწის ნაკვეთზე შესაბამისი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ამ ეტაპზე კომპანია მუშაობს შენობის ექსპლოატაციაში მიღებაზე. ვალდებულებების დარღვევის გამო, ეკისრება პირგასამტეხლო, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულებების შესრულებამდე. 12.11.2020 წლის მდგომარეობთ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა შეადგენს 111 900 (ას თერთმეტი ათას ცხრაასი) ლარი (4.3.4 მუხლის დარღვევისათვის - 12 900 ლარი; 4.3.5 მუხლის დარღვევისათვის - 86 100 ლარი; 4.3.6 მუხლის დარღვევისთვის 12 900 ლარი) .

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოსგან მყიდველის გათავისუფლების საკითხი.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველის მიერ ვერ მოხერხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხელშეკრულებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ასევე, დეტალურად გაიწეროს შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პროცედურა.

საკითხი განხილული იყო კომისიის წინა სხდომაზე. ახალი პროექტით ხდება ვადებისა და ტექნიკური ხასითის ცვლილების შეტანა.

მომხრე-7 ; წინააღმდეგი- ვახტანგ შაქარიშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ირაკლი თავრათქილაძის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება უძრავი ქონების გაცვლისათვის საჭირო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, საჯარო და კერძო პირთა ინტერესების გათვალისწინებით, უძრავ ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხების აქტიურად განხილვა.

აღნიშნული სამმართველოს ჩამოყალიბება განაპირობა სწორედ საკითხის აქტუალურობამ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით იზრდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, სამშენებლო განვითარების თუ სხვა სახის შეზღუდვის არსებობის გამო, უძრავი ქონების მონაცვლეობის მოთხოვნა. საკითხთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობისა და სპეციფიკის, ასევე, ქონების მართვის სამსახურის არსებული სამმართველოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა რაოდენობის გათვალისწინებით, მითითებული ფუნქციის ქონების მართვის სამსახურის სხვა სამმართველოსათვის შეთავსება არაეფექტური იქნება. ვინაიდან, აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევა, შესწავლა და საკითხთან დაკავშირებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, მიზანშეწონილია, უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხების განხილვისათვის, ქონების მართვის სამსახურის შემადგენლობაში შეიქმნას შესაბამისი სამმართველო. აქედან გამომდინარე ქონების მართვის სამსახურის შემადგენლობაში იქმნება: „უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხების განმხილველი სამმართველო".

გარდა ამისა საჯარო ინფორმაციის გასაცემად სამუშაოების ორგანიზების და საჭიროებისას ინფორმაციის მომზადებაში შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ჩართვის უზრუნველყოფა მიეკუთვნება სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს კომპეტენციას. აღნიშნული ფუნქციის განხორციელებაზე უფლებამოსილება ენიჭება სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამმართველოს, რომლის სახელწოდებად განისაზღვრება: „საჯარო ინფორმაციის გაცემისა და სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამმართველო".

მომხრე-8 ;

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: 2016 წლის 19 აპრილს შპს ,,ალმა ტრანსპორტსა" (ს/კ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა" (ს/ნ: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი- N160405188) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 4 აპრილის N E-303-1-19553 გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს" (ს/კ: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება ,ხოლო 2016 წლის 1 ნოემბერს შპს „ალმა ტრანსპორტი" შეერწყა შპს „ალმას" (ს/ნ: 204873388) და შპს „ალმა ტრანსპორტის" განცხადების საფუძველზე, ხელშეკრულების მხარედ განისაზღვრა შპს „ალმა". ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მასშტაბით მოიჯარის მიერ ჯამში 700 (შვიდასი) ერთეული საქალაქო ტრანსპორტის გაჩერების განთავსება. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის, ხელშეკრულებას თან ერთვოდა 3 დანართი: (1) დანართი N3 წარმოადგენდა იმ ლოკაციების სრულ ჩამონათვალს, რომელზეც მოიჯარეს უნდა განეთავსებინა საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელები; (2)

დანართი N2-ით განსაზღვრული იყო იმ 350 მიწის ნაკვეთის ჩამონათვალი, რომლებზეც 2016 წლის 19 აპრილის მდგომარეობით უკვე განთავსებული იყო კონსტრუქციები (აღნიშნული დანართით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები შედიოდა დანართი N3-ით წარმოდგენილი ლოკაციების ჩამონათვალშიც); (3) და დანართი N1 წარმოადგენდა იმ 62 მიწის ნაკვეთის ჩამონათვალს, რომელიც არ შედიოდა საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელების კონსტრუქციების 700 ადგილში.

უნდა აღინიშნოს, რომ დანართ N3-ში განსაზღვრული ლოკაციების ნაწილზე, ხელშეკრულების გაფორმების მდგომარეობით, საკადასტრო ერთეულები აზომილი, განსაზღვრული არ იყო და მხარეები, ხელშეკრულების 2.3.1 ქვეპუნქტის საფუძველზე, შეთანხმდნენ, რომ გაჩერების ადგილების აზომვა და რეგისტრაცია განხორციელდებოდა სააგენტოს მიერ, ეტაპობრივად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებულ ადგილებზე. ამავე პუნქტის თანახმად, ყოველ ეტაპზე რეგისტრირებული ახალი ადგილები, შესაბამისი ტიპის აღნიშვნით დანართის სახით დაერთვებოდა აუქციონში გამარჯვებულთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, 2016 წლიდან დღემდე მხარეებს შორის ფორმდებოდა დამატებითი დანართები (დღეის მდგომარეობით გაფორმებულია ჯამში დამატებით 20 დანართი) რომლის საფუძველზე, სააგენტო მოიჯარეს ეტაპობრივად გადასცემდა ახალ ლოკაციებს - ხელშეკრულების დანართ N3-ში დასახელებული 700 ლოკაციაში შემავალი იმ 350 ადგილმდებარეობიდან, რომლებზეც ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის, არ იყო განსაზღვრული ზუსტი საკადასტრო კოდები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეიჯარის მიერ დღემდე არ განხორციელებულა მოიჯარისთვის სრულად 700 ლოკაციის გადაცემა.

მოიჯარემ 2020 წელს განცხადებებით მიმართა სააგენტოს და აცნობა , რომ ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე სხვადასხვა დამოუკიდებელი გარემოებებისა და ობიექტური მიზეზების გამო (ტროტუარების სივიწროვის, ინფრასტრუქტურის არარსებობის, შშმ პირებისათვის გათვალისწინებული პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო და ა.შ.) ვერ მოხერხდა მოსაცდელების მოწყობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ან განთავსდა და შემდგომ განხორციელდა მათი დემონტაჟი. ამასთან, მოიჯარე აღნიშნავს რომ, ზემოაღნიშნული მიზეზით მან ვერ შეძლო ქ. თბილისის მუნიციალიტეტის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რის გამოც ზარალდება როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესები მოსაცდელების მოუწყობლობის ან/და გარკვეულ შემთხვევებში, საიჯარო ქირის დაურიცხაობის გამო, ასევე მოიჯარის მიერ წინასწარ განსაზღვრული კომერციული ინტერესები. ასევე განმარტა, რომ რიგ შემთხვევაში ახალი დანართების საფუძველზე განსაზღვრული მოსაცდელების ადგილმდებარეობა მეორდებოდა (დუბლირდებოდა) ხელშეკრულების დანართ N2-ში გათვალისწინებულ მისამართებთან და მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდა 2020 წლის 11 მარტამდე ხორციელდებოდა ორმაგად (რიგ შემთხვევებში სამმაგად) როგორც დანართ N2-ის, ასევე, ახალი დანართების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოიჯარემ 2020 წლის 11 მარტიდან დროებით შეაჩერა საიჯარო ქირის გადახდა.

მოიჯარემ სააგენტოს ასევე აცნობა, რომ სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის მითითების გათვალისწინებით, მას საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელები განთავსებული აქვს ლოკაციებზე, რომლებიც არ შედის ხელშეკრულების N3 დანართში და აღნიშნულ ლოკაციებზე სააგენტოსა და მოიჯარეს შორის მიწის ნაკვეთების გადაცემაზე შეთანხმება (ახალი დანართი) არ გაფორმებულა, შესაბამისად, მოიჯარე აღნიშნულ ლოკაციებზე ფაქტობრივად სარგებლობისათვის საიჯარო ქირას არ იხდის. ამასთან, მოიჯარეს სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის მითითების გათვალისწინებით, საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელები განთავსებული აქვს იმ ლოკაციებზე, რომლებიც შედის ხელშეკრულების N3 დანართში, თუმცა აღნიშნულ ლოკაციებზე სააგენტოსა და მოიჯარეს შორის მიწის ნაკვეთების გადაცემაზე

შეთანხმება არ გაფორმებულა და შესაბამისად, მოიჯარეს აღნიშნულ ლოკაციების ფაქტობრივად სარგებლობისათვისაც საიჯარო ქირა არ გადაუხდია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოიჯარემ მოითხოვა ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და მის მიერ ზედმეტობით გადახდილი საიჯარო ქირის საფასურის ხელახალი დაანგარიშება, რომელსაც განახორციელებს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში - „ექსპერტიზის ბიურო") და აღნიშნულის საფუძველზე, ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა მომავალი შესაბამისი პერიოდის ანგარიშში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომლის თანახმადაც:
-უქმდება ხელშეკრულების N2 – N23 დანართები და სანაცვლოდ, ემატება N2 და N3 დანართები განახლებული სახით: N2 დანართით წარმოდგენილია იმ 700 ლოკაციის ჩამონათვალი, რომლებზეც შეთანხმების გაფორმების დროისათვის განთავსებულია კონსტრუქციები ან/და უნდა განთავსდეს შემდგომში, ხოლო N3 დანართით წარმოდგენილია იმ ალტერნატიული ლოკაციების ჩამონათვალი, რომლებზეც N2 დანართით განსაზღვრულ ლოკაციებზე გაჩერებების ობიექტური მიზეზების გამო განუთავსებლობის შემთხვევაში განთავსდება მოსაცდელები/კონსტრუქციები. (აღსანიშნავია, რომ N2 დანართით წარმოდგენილი 700 მისამართის ადგილმდებარეობა შეთანხმდა მხარეთა შორის, თუმცა, ვინაიდან მიმდინარე ეტაპზე ყველა ლოკაცია სრულად არ არის აზომილი და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული, დანართით წარმოდგენილ სიაში არ არის მოცემული ლოკაციების საკადასტრო კოდები).

-ამასთან, შეთანხმების პროექტის თანახმად, მხარეები განსაზღვრავენ საიჯარო ქონების გადაცემისა და მოსაცდელის განთავსების ვადებს, ასევე, საიჯარო ქირის დარიცხვის, კერძოდ, გადახდის დაწყებისა და (დემონტაჟის შემთხვევაში) დასრულების თარიღებსა და პრინციპებს. შეთანხმების თანახმად, ასევე იცვლება საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელების განთავსების ბოლო ვადა (2017 წლის 18 აპრილი) და მოიჯარეს განესაზღვრება თითოეული საიჯარო ქონების გადაცემიდან 3 თვე მოსაცდელის/კონსტრუქციის განსათავსებლად.

-ამასთან, შეთანხმების პროექტის შესაბამისად მხარეები თანხმდებიან, რომ 2020 წლის 11 მარტის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტში საიჯარო ქირის სახით ზედმეტად გადახდილ თანხა (შემდგომში - „ზედმეტად გადახდილი თანხა") შეადგენს 764 106.54 ლარს, რომელიც კომპანიას ჩაეთვლება 2020 წლის 11 მარტის შემდეგ გადასახდელ საიჯარო ქირის ანგარიშში. ამასთან, ზედმეტად გადახდილი თანხების ჩათვლა ხორციელდება დასკვნით დადგენილი მონაცემების გათვალისწინებით და წინამდებარე შეთანმხების გაფორმების შემდგომ მეიჯარე საიჯარო ქირის დარიცხვას განაგრძობს ფაქტობრივად განთავსებული მოსაცდელების/მათი ფართობებისა და ამ შეთანხმების საფუძველზე მომავალში განხორციელებული ცვლილებების (განთავსებული მოსაცდელების) შესაბამისად.

საკითხვის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კენჭისყრაზე დადგა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ

მომხრე-8 ;

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N24-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 3 ოჯახს საერთო ლამში 192,83 კვმ უძრავი ქონება. ეს ოჯახები 2005 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.029.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.029.01.512) მდებარე უძრავი ქონება, 70,25 კვმ საცხოვრებელიფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ალმასხან ლომიძეს, რომელიც შსს წერილობითი ცნობით 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.024.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.024.01.503 მდებარე უძრავი ქონება 68,12 კვმ საცოხვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლევან გიუნაშვილს, რომელიც შსს წერილობითი ცნობით 9 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.032.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.032.01.501) მდებარე უძრავი ქონება 71,84 კვმ საცოხვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დავით წყაროზიას, რომელიც შსს წერილობითი ცნობით 12 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, წულუკიძის I შესახვევი, კორპუსი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.018.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, წულუკიძის I შესახვევი, კორპუსი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.018.01.022) მდებარე უძრავი ქონება 33,00 კვმ საცხოვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გიორგი ალექსიანს, რომელიც შსს წერილობითი ცნობით 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და არის 2002 წლის მიწიწსძვრით დაზარალებული.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე .

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში, მეორე სართულზე მდებარე 44.35 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნანა ბახტაძეს.შსს ცნობით დასტურდება, რომ ნანა ბახტაძე მითითებულ მისამართზე ოჯახთან ერთად ცხოვრობს 10-12 წელი. მეზობლების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული მოქლაქე 2001 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კალანდაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.098) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, კალანდაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.098) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, 2 ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა საერთო ჯამში 68,43 კვმ ფართი. შსს ცნობით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით დგინდება, რომ მოქალაქეები დაახლოებით 10 წელია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.
მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.702 და N01.19.23.009.076.01.703) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე .

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.702 და N01.19.23.009.076.01.703) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს საერთო ჯამში 63,62 კვმ ფართი, რომლებიც 2011 წლიდან ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.
მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე .

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში, მეორე სართულზე მდებარე 72.25 კვ.მ ფართის ბინა N21-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.021) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დავით თხილიშვილს. შსს-ს ცნობით დავით თხილიშვილი მითითებულ მისამართზე ოჯახთან ერთად ცხოვრობს 2006 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.02.500 და N01.11.05.029.144.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.02.500 და N01.11.05.029.144.01.517) მდებარე უძრავი ქონება საერთო ჯამში102,48 კვმ პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ორ ოჯახს.(ვერა გაზდელიანს 66,39 კვმ, თამტა ციმაკურიძეს და რაჯი წულაიას თანასაკუთრებაში 36,09 კვმ) შსს ცნობებით და მეზობლების ჩვენებით დგინდება, რომ ეს მოქალაქეები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2008-2009 წლებიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში(საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში, მეორე სართულზე მდებარე 100.99 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, თანასაკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნათია ღუბელაძეს და მანანა კვარაცხელიას. შსს ცნობებით და მეზობლების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნულ მისამართზე ნათია ღუბელაძე ცხოვრობს 2010 წლიდან,ხოლო მანანა კვარაცხელია 2010 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე.**